საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/1995
24/05/2022

1995-21-2-202205241644

ი/მ „თოფიკ გუსეინოვს“
მის: საგარეჯო, სოფ. თულარი, მე–8 ქ. №6
ელ. ფოსტა: musa.qaracop@mail.ru

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №10714 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, სოფ. კაკაბეთში ნავთობპროდუქტების საცავის (ავტოგასამართი სადგური) მოწყობასა და ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში მოცემული არ არის და დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- დოკუმენტში მოცემული უნდა იქნეს საქმიანობის განხორციელების ადგილის GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატები (shp-ფაილთან ერთად);
- სკრინინგის განცხადებაში დასაზუსტებელია თუ რომელი წლიდან ფუნქციონირებს აღნიშნული ავტოგასამართი სადგური;
- დოკუმენტში მოცემული უნდა იყოს საქმიანობის ფარგლებში უკვე განხორციელებული და დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოების შესახებ ინფორმაცია;
- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი არ არის სალექარში დაგროვებული ნარჩენის შემდგომი მართვის საკითხი;
- დოკუმენტში მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია საპროექტო რეზერვუარის სასუნთქი სარქველებით აღჭურვის შესახებ, შესაბამისი პარამეტრების მითითებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თეიმურაზ მთივლიშვილი

სააგენტოს უფროსის დროებით ფუნქციების შემსრულებელი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო